პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 28 იანვარი, 1942 წ. № 23 (6339). ფასი 15 კაპ.

მოსკოვის ოლქი განმენდილია ჰიტლერელი მხეცებისაგან

წითელი არმიის სახელოვანმა მეომრებმა უკანასკნელი გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი გარეკეს მოსკოვის ოლქის ფარგლებიდან. ჩვენი მშობლიური მოსკოვის მიდამოების ყველა ქალაქსა და სოფელში კვლავ ამაყად ფრიალებს საბჭოთა დროშა.

აქ, მოსკოვის ახლო, სისხლისმსმელ ჯალათ ჰიტლერს, რომელმაც მუხანათურად მოსია თავის ყაჩაღთა ურდოები ჩვენს სამშობლოს, იმედი ჰქონდა გადამწყვეტ ლახვარს ჩაგვცემდა. მაგრამ მტრის ეს გეგმები არ განხორციელდა. აქ, მოსკოვის ახლო, დიდი სტალინის სიბრძნით, სახელოვანი საბჭოთა მეომრების უჭკნობი გმირობით, დედაქალაქის დამცველთა გამძლეობითა და სიმტკიცით, მთელი საბჭოთა ხალხის შეუდრეკელი ნებისყოფით საფუძველი ჩაეყარა გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურებას.

გერმანელებმა ორჯერ სცადეს შემოტევა საბჭოთა დედაქალაქზე, ორჯერ მოუყარეს თავი და მოიმარჯვეს სატანკო და მექანიზებული დივიზიების დამკვრელი მუშტი მოსკოვის დასაპყრობად. ოქტომბრის დამდეგს ჰიტლერმა თავი მოუყარა მთელ თავის რეზერვებს, უამრავ ტანკსა და ავიაციას და შემოტევა დაიწყო მოსკოვზე, წინდაწინ კი ტრაბახობდა, რომ ზამთრის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე საბჭოთა დედაქალაქი გერმანელთა ხელში იქნებოდა. მაგრამ ჰიტლერი სასტიკად მოსტყუვდა. საბჭოთა ადამიანები უდიდესი გმირობით იბრძოდნენ მოსკოვის მისადგომებზე, შეაჩერეს მტერი და უკან დაახევინეს.

თავისი გეგმის მარცხით გაფთრებულმა ჰიტლერმა შუა ნოემბერში მეორე გენერალური შეტევა დაიწყო მოსკოვზე. გერმანელებმა კვლავ მოუყარეს თავი ათობით დივიზიებს, თითქმის ყველა თავის ტანკს, არტილერიას, არ ზოგავდნენ არაფერს და ცდილობდნენ ჯერ კიდევ დაზამთრებამდე „მოეღოთ ბოლო" საბჭოთა დედაქალაქისათვის. დადგა ძნელი და მკაცრი დღეები და კვირეები ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებაში, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში. დღედაღამ შენდებოდა ბარიკადები. მუშები ზოგჯერ დაუსვენებლად და დაუძინებლად შრომობდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში და იარაღს ამზადებდნენ იმათთვის, ვინც მოწინავე ხაზზე იბრძოდა.

გულადი სტალინელი შევარდნები დღედაღამ სდარაჯობდნენ ჰაერში მოსკოვის თავზე და მოსკოვის ირგვლივ, ანადგურებდნენ ფაშისტთა ძერებს, არ აძლევდნენ მათ მოსკოვისაკენ გამოჭრის საშუალებას. ჩვენს ჯარებს მოსკოვის მისადგომებზე მოუხდათ ჰიტლერელთა ურდოების გაფთრებული იერიშის მოგერიება. ჩვენი მეომრები უშიშრად იბრძოდნენ, სიკვდილი არად მიაჩნდათ, გულადად სწირავდნენ თავს ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისათვის, ვერაგსა და საძულველ მტერზე გამარჯვებისათვის.

მრავალი ათასი რუსი ადამიანი დროებით მოექცა გერმანელ ოკუპანტთა უღელქვეშ. ბედნიერი და აყვავებული მოსკოვის მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი ჯალათების უმანკო მსხვერპლთა სისხლით შეიღება. დღედაღამ განუწყვეტლივ გაისმოდა ნაწამები, ნატანჯი, გაუბედურებული ადამიანების კვნესა.

ჰიტლერელი ყაჩაღები უაზრო ნგრევას ახდენდნენ, ფერფლად აქცევდნენ ათასობით სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს. მათ ააფეთქეს რუსული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი—ახალი იერუსალიმის ტაძარი, დასწვეს ბოროდინოს მუზეუმი, დაანგრიეს ქალ. კლინში სახლი, სადაც ცხოვრობდა და ჰქმნიდა რუსი კომპოზიტორი ჩაიკოვსკი. ჰიტლერელებმა მოსკოვის ოლქში მოსპეს და დასწვეს 760 სკოლა, 160-ზე მეტი საავადმყოფო, ასობით საბავშვო ბაგა, 800-ზე მეტი ქოხ-სამკითხველო, კლუბები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები.

მხეცობისა და ძალადობის, ბოროტმოქმედებისა და სახრჩობელების პასუხად საბჭოთა ადამიანები ტყეში, პარტიზანულ რაზმებში მიდიოდნენ, ხიდებსა და საწყობებს აფეთქებდნენ, მტრის კომუნიკაციებს არღვევდნენ და ფაშისტთა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ჟლეტდნენ როგორც ცოფიან ძაღლებს. მოსკოვის მიდამოების ბოლშევიკები პარტიზანული რაზმების წინამძღოლები ხდებოდნენ. ისინი ღირსეულად ატარებდნენ ხალხის შურისგების დიად დროშას.

ჩვენს მეომრებს, რომლებიც მტრის გაფთრებულ იერიშებს იგერიებდნენ ფრონტზე, ჩვენს ადამიანებს, რომლებიც იარაღს ამზადებდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, ჩვენს პარტიზანებს, რომლებიც მტერს ებრძოდნენ მის ზურგში, — ყველას ახსოვდა ამხანაგ სტალინის დიადი მოწოდება, რომელიც 7 ნოემბერს გაისმა წითელ მოედანზე: წინ, გამარჯვებისაკენ! ყველაზე მკაცრი განსაცდელის დღეებში, ყველაზე მრისხანე საფრთხის წუთებში მებრძოლებმა ფრონტზე და მუშებმა დედაქალაქში იცოდნენ: სტალინი ჩვენთანაა, ის აქვეა, მოსკოვში, იგი სჭედავს მტრის მომავალ განადგურებას, მომავალ გამარჯვებას მტერზე. ეს შეგნება ძალას აათკეცებდა, ახალ სიმხნეს ჰმატებდა მებრძოლთ, აღაფრთოვანებდა ადამიანებს ვაჟკაცობისათვის, მამაცობისა და გმირობისათვის.

„რა დასამალავია, მძიმე დღეებს განიცდიდა მოსკოვი. მასთან ერთად კი მთელი ჩვენი ქვეყანაც. ერთ ფლანგზე მტერმა იახრომა დაიკავა, მეორეზე კაშირას უახლოვდებოდა. მაგრამ ამ მძიმე დღეებშიც ჩვენი ხალხი, ჩვენი არმია ერთ წუთსაც არ დაეჭვებულა, რომ მტერს შევაჩერებდით, უკუვაქცევდით და დავამარცხებდით.

ეჭვი არ ეპარებოდათ ამხანაგებს, ვინაიდან მტკიცედ სწამდათ თავისი ძალა და ჩვენი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გენიის ძალა". (ა. ს. შჩერბაკოვი).

ამხანაგმა სტალინმა გენიალური გამჭრიახობით შეიმუშავა და განახორციელა გეგმა კონტრშეტევისა მტრის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი მშობლიური მოსკოვისაკენ მოიწევდა. ხალხისა და წითელი არმიის ბელადი ხელმძღვანელობდა ამ გეგმის შესრულებას, ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ ჩვენს ჯარებს მძლავრად დაერტყათ ყაჩაღი ფაშისტების ურდოებისათვის.

ჰიტლერელთა ურდოების მეორე შემოტევამ მოსკოვზე სრული მარცხი განიცადა და გერმანელთა ათობით დივიზიების განადგურებით დამთავრდა. გერმანელებმა ვერ გაუძლეს ჩვენი ჯარების დარტყმებს და უკუიქცნენ, გარბოდნენ და გზაზე სტოვებდნენ ტანკებს, ქვემეხებს, ავტომობილებს, საჭურველს, საომარ მასალას, ათასობით გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებით მოიფინა დასავლეთისაკენ მიმავალი გზა. ჩვენი ჯარები შეუჩერებლივ მისდევენ მტერს, სძლევენ მის წინააღმდეგობას, უნგრევენ გამაგრებულ ბუდეებს, სოფლებიდან და ქალაქებიდან ერეკებიან.

ხალხის წარუშლელ ხსოვნაში საუკუნოდ იკაშკაშებს მოსკოვის დაცვის დიადი ეპოპეა, მასების მიერ გამოჩენილი განსაკუთრებული სიმტკიცე სულისა, ათასობით ადამიანთა მედგრობა და თავგანწირულება მშობლიური ქვეყნის გადასარჩენად.

ხალხი არასოდეს დაივიწყებს გენერალ ივანე პანფილოვს, რომელიც მტერთან ბრძოლაში დაეცა. დაე საბჭოთა ხალხი იცნობდეს წმიდა სახელებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც სამშობლოს ერთგულების სიმბოლო, როგორც ადამიანის დევგმირული ძალის მწვერვალი. ეს არის გენერალ პანფილოვის სახელობის დივიზიის 28 გვარდიელი, რომლებმაც ისტორიაში უმაგალითო ბრძოლა გადაიხადეს ტანკებთან. მათ ეცავათ ზღუდე, რომლის წინააღმდეგაც წამოვიდა გერმანელთა რამდენიმე ათეული ტანკი. გვარდიელებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 18 ტანკი, ისინი ყველანი მამაცთა სიკვდილით დაეცნენ ბრძოლაში, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხევიათ უკან. მათ შორის იყვნენ რუსები, უკრაინელები და ყაზახები—საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის ცოცხალი განსახიერება. აი მათი სახელები: ვასილ გიორგის-ძე კლოჩკოვი, ივანე ესტატეს-ძე დობრობაბინი, ივანე ალექსის-ძე შეპეტკოვი, აბრამ ივანეს-ძე კრიუჩკოვი, გაბრიელ სტეფანეს-ძე მიტინი, ალიქბაი კასაევი, გრიგოლ ალექსის-ძე პეტრენკო, ნარსუთბაი ესიბულატოვი, დიმიტრი მიტროფანეს-ძე კალეინიკოვი, ივანე მოსეს-ძე ნატაროვი, გრიგოლ მიხეილის-ძე შემიაკინი, პეტრე დანიელ-ძე დუტოვი, ნიკოლოზ მიტჩენკო, დუშანკულ შაპოკოვი, გრიგოლ ექვთიმეს-ძე კონკინი, ივანე დემიდის-ძე შადრინი, ნიკოლოზ მოსკალენკო, პეტრე კუზმას-ძე ემცოვი, დანიელ ალექსანდრეს-ძე კუჟებერგენოვი, დიმიტრი თომას-ძე ტიმოფეევი, ნიკოლოზ ეგნატეს-ძე ტროფიმოვი, იაკობ ალექსანდრეს-ძე ბონდარენკო, ლარიონ რომანის-ძე ვასილიევი, ნიკოლოზ ბოლოტოვი, გრიგოლ ბეზროდნი, მუსტაფა სენგირბაევი, ნიკოლოზ მაქსიმოვი, ნიკოლოზ ანანიევი.

საუკუნო, უკვდავი დიდება გმირებს!

ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მოსკოვთან გერმანელთა ურდოებს. მოსკოვთან გერმანელთა განადგურებაში მთელი ჩვენი დიადი სამშობლო იღებდა მონაწილეობას. ურალზე და ვოლგისპირეთში, შუა აზიისა და ამიერკავკასიის მზიურ საბჭოთა რესპუბლიკებსა და სუსხიან ციმბირში, ყველგან, სადაც საბჭოთა პატრიოტის გული ძგერს, მილიონობით ადამიანები სულგანაბული ადევნებდნენ თვალყურს მოსკოვთან წარმოებული დიადი ისტორიული ბრძოლის ყოველ ნაბიჯს. ყველა რესპუბლიკა, მხარე და ოლქი მოსკოვის დამცველ მამაც წითელ არმიას უგზავნიდა თავის მამაც მეომრებს, აწვდიდა მას იარაღს, საომარ საჭურველს, სურსათს, სიყვარულით გზავნიდა ფრონტზე დიდძალ საჩუქრებს.

ახლა, როცა გერმანელი მხეცები გარეკილი არიან მოსკოვის ოლქის ფარგლებიდან, ხალხი შეუდგა მძიმე ჭრილობების მოშუშებას, ქალაქებსა და სოფლებში საბჭოთა ცხოვრების აღდგენას. უკვე აღდგენილია პურსაცხობები, ელექტროსადგურები, წყალსადენი, ვაჭრობა. დამშეულმა მოსახლეობამ პური მიიღო. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა **სწრაფად აღვადგინოთ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, კარგად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის.** კვლავ დგებიან მწყობრში ასობით წვრილი და საშუალო საწარმოები და სარეწაო არტელები. ისინი სულ უფრო და უფრო მეტ პროდუქციას მოგვცემენ ფრონტისათვის და ფართო მოხმარების საგნებს მოსახლეობისათვის. მთელი მოსკოვის ოლქის კოლმეურნეები ენერგიულად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის, არემონტებენ ტრაქტორებსა და მთელ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. გერმანელი დამპყრობლების მიერ გაძარცულ და აოხრებულ რაიონებს დიდი დახმარება უნდა აღმოუჩინონ მოსკოვის ოლქის აღმოსავლეთის რაიონებმა. მალე კვლავ ამწვანდება საკოლმეურნეო მინდვრები და კვლავ გაჩაღდება თავისუფალი შრომითი ცხოვრება საზიზღარ გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ მიწაზე.

მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. მოგველის მედგარი ბრძოლები. გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების დასაჩქარებლად ყველა საბჭოთა ადამიანმა დაუღალავად უნდა იმუშაოს, კიდევ უფრო მეტი იარაღი, საომარი მასალა და სურსათი უნდა მისცეს ფრონტს.

შორს არ არის ჟამი, როცა ჩვენი მშობლიური სმოლენშჩინაც, ბელორუსიაც, უკრაინაც და მთელი საბჭოთა მიწები კვლავ თავისუფალი იქნებიან. ამის თავდებია გმირული ბრძოლა მოსკოვისათვის, რომელიც მოიგო ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ უდიდესი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით!

მოსკოვისათვის წარმოებული ისტორიული ბრძოლა მსოფლიო ისტორიაში შევა, როგორც ჰიტლერიზმის—ამ საშინელი შავი ჭირის დაღუპვისა და სრული მოსპობის დასაწყისი, შავი ჭირისა, რომელიც მომაკვდინებელ საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისათვის.

„პრავდის" მოწინავე, 27/I.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 იანვრის დილის ცნობა

26 იანვრის ღამის განმავლობაში საბჭოთა ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ჩვენმა ნაწილმა ამხ. პროკოფიევის მეთაურობით (დასავლეთის ფრონტი) დაიკავა ერთი დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდო გერმანელთა 10 ქვემეხი, 15 ტყვიამფრქვევი, 600 ყუმბარა და 15 ათასი ვაზნა. სხვა უბანზე სოფელ ჩუბარევოსათვის ბრძოლებში ამხ. კულეშოვის მეთაურობით ნაწილმა ხელთ იგდო 7 ტყვიამფრქვევი, 190 შაშხანა, 40 ათასზე მეტი ვაზნა და სხვა სამხედრო ქონება. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა 200 მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე დასახლებულ პუნქტ კ-ში ჩვენმა მებრძოლებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე. გერმანელებმა 300 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. სხვა უბანზე სავსებით განადგურებულ იქნა გერმანელთა 516-ე ქვეითი პოლკის მეორე ბატალიონი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 457-ე და 516-ე ქვეითი პოლკების დროშები. კ-ს რაიონში გაფთრებული ბრძოლის დროს მოწინააღმდეგემ 1040 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

* * *

სოფელ ს-ს მისადგომებზე მტერი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ჩვენს შემტევ მებრძოლებს. მაშინ პოლიტხელის მოადგილემ ნიკიფოროვმა წინ წაიწია თავისი ტყვიამფრქვევით. მარჯვე სროლით მოსპო მტრის ტყვიამფრქვევის ბუდე და გაჟლიტა 60 გერმანელი მევტომატე, რომლებიც გზას გვიღობავდნენ სოფლისაკენ.

* * *

მოთხილამურე წითელარმიელებმა კაბისოვმა, მაქსიმოვმა და ტოლსტოვმა საფრიდან სროლა აუტეხეს მტრის ალალს, რომელიც სოფლიდან უკან იხევდა. 8 გერმანელი ჯარისკაცი, რომელიც ალალს ახლდა, ტყვედ დაგვნებდა. მამაცმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს ქვემეხი, ტყვიამფრქვევი, 30 შაშხანა და რამდენიმე საზიდარი ქონება, რაც გერმანელებმა ადგილობრივ მცხოვრებთ წაართვეს.

* * *

გერმანელთა მე-7 დივიზიის 62-ე ქვეითი პოლკის ტყვე ჯარისკაცმა რუდოლფ ლაცელსბერგერმა გვიამბო: „ჩვენ მიუნხენიდან გამოგვგზავნეს მე-7 დივიზიის შესავსებად. ეშელონში 350 კაცი იყო. როდესაც მალოიაროსლავეცს მივუახლოვდით, ვიღაც ოფიცერმა გაგვაჩერა და გვითხრა: „რუსები გვიტევენ, ამიტომ თქვენ აქ უნდა დარჩეთ და მათი იერიშების მოგერიებაში უნდა გვიშველოთო". ჩვენ მოწინავე ხაზზე გაგვგზავნეს. იქ სრული არეულ-დარევა იყო. ყველა ნაწილი და ყველა დივიზია ერთმანეთში იყო არეული. როდესაც რუსებმა მოწოლა გააძლიერეს, ჩვენი ჯარისკაცები გაიქცნენ, მე და ჩემი ამხანაგი კი დავრჩით და ტყვედ დაგნებდით".

* * *

გერმანელ ეფრეიტორ ოტმარ მეტერნის შემდეგი შინაარსის გაუგზავნელი წერილი უპოვნეს: „თუ ღმერთი გწამთ, არ დაუჯეროთ, რასაც მანდ კინოში გიჩვენებენ. მთელი კინოქრონიკა თავით-ბოლომდე ყალთაბანდობაა. კინოში, მაგალითად, თქვენ გიჩვენებენ დიდძალ ბეწვიან ჟილეტს, რომლებიც ჯარისკაცებს ფრონტზე გაეგზავნათ. ეს სულ ტყუილია. ჩვენ ეს ჟილეტები არ მიგვიღია და არც თვალით გვინახავს".

* * *

საფრანგეთში განლაგებულმა გერმანელთა ნაწილებმა განკარგულება მიიღეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გამგზავრებულიყვნენ. ამ ბრძანებამ გერმანელ ჯარისკაცთა შორის აღშფოთება და პროტესტები გამოიწვია. იმისათვის, რომ ეშელონის გაგზავნა შეეჩერებინათ, ჯარისკაცებმა რკინიგზის ლიანდაგებზე სატვირთო მანქანები დააყენეს. მოვიდა დამსჯელი რაზმი, რომელმაც ბევრი დააპატიმრა. დაპატიმრებულ ჯარისკაცთა ნაწილი იქვე დახვრიტეს.

* * *

გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული საბჭოთა რაიონების ახალგაზრდობა თავგანწირულად მუშაობს ჰიტლერელი ბანდიტების მიერ დანგრეულ ქალაქებისა და სოფლების მეურნეობის აღსადგენად. კალინინის რკინიგზის დეპოს ახალგაზრდობამ გაასუფთავა დეპო, სადაც გერმანელებმა თავლა მოაწყეს, და ამჟამად აკეთებს იარაღის რემონტისათვის საჭირო ინსტრუმენტს. სავსებით აღდგენილია ნაღმსატყორცნის სარემონტო სახელოსნო. კალინინის № ქარხანაში ახალგაზრდობა შეუდგა მოწყობილობის შეკრებასა და რემონტს და ქარხნის ეზოს გასუფთავებას. პარტიზან იუროვის ბრიგადა მაღალვოლტიანი ხაზის აღდგენაზე მუშაობს. ვოლგის გაღმა რაიონში ახალგაზრდობა არემონტებს და სწმენდს ტრამვაის ლიანდაგს. ახალგაზრდობამ გაწმინდა თოვლი და წესრიგში მოიყვანა რკინიგზის შტო, რომელიც ტორფის საბადოებისაკენ მიდის და რომლის სიგრძე 5 კილომეტრს უდრის. სოლნეჩნოგორსკში მოსკოვის ოლქის ახალგაზრდობა მუშაობს საავადმყოფოს, პურის საცხობის, აბანოს და ბიბლიოთეკის აღდგენაზე. ახალგაზრდა მეკავშირემ ამხ. იაკუშევმა 300 რადიოწერტი აღადგინა რამდენიმე დღეში. ქალიშვილებმა ჩიჩნევამ და დოლბინინამ 20 საკერავი მანქანა შეაგროვეს და სამკერვალო სახელოსნო გამართეს, სადაც ამჟამად ტანსაცმელი მზადდება წითელი არმიისათვის.

27 იანვრის საღამოს ცნობა

27 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით მოქმედებას გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. ჰიტლერელებს ბრძოლაში გამოჰყავდათ რეზერვები და ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების შეტევა. ჩვენმა ნაწილებმა მტრის კონტრშეტევები მოიგერიეს, მტრის წინააღმდეგობა გასტეხეს, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

26 იანვარს მოსპობილია გერმანელთა 39 თვითმფრინავი. ჩვენ 8 თვითმფრინავი დავკარგეთ.

27 იანვარს მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანელთა 4 თვითმფრინავი.

* * *

26 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა ტანკი, 270 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და ტვირთითურთ, 220 საზიდარი საომარი მასალა, 11 ქვემეხი გუნდებიანად, საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, დაამსხვრიეს რკინიგზის 80 ვაგონი, ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის 3 ეშელონს, დაანგრიეს სარემონტო ავიაქარხანა და 2 ანგარი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მოწინააღმდეგის ერთი პოლკი ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილმა, რომელიც უკუქცეულ მტერს სდევნიდა, ხელთ იგდო გერმანელთა 2 ტანკი, 13 ავტომანქანა, 9 ტყვიამფრქვევი, 6 მოტოციკლი, რადიოსადგური და მრავალი სხვადასხვა სამხედრო ქონება. მეორე უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა ძლიერ გამაგრებული წინააღმდეგობის კვანძიდან გარეკეს ჰიტლერელები და ხელთ იგდეს 2 ტანკი და 4 ტყვიამფრქვევი. მოწინააღმდეგემ 150 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა გერმანელებისაგან გაათავისუფლა დასახლებული პუნქტი ი. ბრძოლის ველზე დარჩა ჰიტლერულ ჯარისკაცებისა და ოფიცრების 300 გვამი.

* * *

კ-ს რაიონში ტყვედ ნებაყოფლობით დაგვნებდნენ იარაღიანად 12 გერმანელი ჯარისკაცი და 2 უნტერ-ოფიცერი.

* * *

სოფელ ვიშგოროდისათვის ბრძოლაში ჩვენმა სატანკო ეკიპაჟმა გაანადგურა გერმანელთა 11 სატყვიამფრქვევო ბუდე, 4 ნაღმსატყორცნი და მწყობრიდან გამოიყვანა მტრის 150 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამხ. კ-ს პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც უკრაინის გერმანელთა მიერ დაკავებულ ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, 2 თვის საბრძოლო მოქმედების დროს მოსპო 4 ტანკი, 80-მდე ავტომანქანა საომარი მასალითა და ტვირთითურთ, გასწყვიტა 50-ზე მეტი გერმანელი, მათ შორის 2 გენერალი, რომლებიც მსუბუქი ავტომანქანით მიდიოდნენ.

* * *

გერმანელთა მე-11 სატანკო დივიზიის 61-ე მოტომსროლელი ბატალიონის 1 ასეულის ობერ-ეფრეიტორმა ჰენრიხ ჰაიზემ, რომელიც 23 იანვარს ტყვედ დაგვნებდა, განაცხადა: „მე-11 დივიზიამ პირადი შემადგენლობის 70 პროცენტი დაჰკარგა. 61-ე მოტომსროლელ ბატალიონში 900 ჯარისკაცი იყო. ახლა ბატალიონის 2 ასეულში 200-მდე კაცი დარჩა. მხოლოდ ამ უკანასკნელ კვირეებში 60-მდე დაჭრილი ჯარისკაცი ირიცხებოდა ჩვენს ასეულში. ბატალიონის ყველა მოტოციკლი გამოსულია მწყობრიდან".

გერმანელი ეფრეიტორის ჰელმუტ როტისათვის ამასწინათ დედამისს მოუწერია ბერლინიდან: „გუშინ ლაზარეთში ვმუშაობდი. კვლავ დიდძალი სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდანი მოიყვანეს. დაჭრილთა საცოდავი გამომეტყველება ჩემზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს".

* * *

სამხედრო მედიცინის მუშაკთა ჯგუფმა აქტი შეადგინა ორიოლის ოლქის სოფელ ლიმოვოეში ჰიტლერელთა მიერ ჩადენილ საზარელ მხეცობათა შესახებ. კვლევა-ძიებისა და მცხოვრებთა გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ სოფელ ლიმოვოედან უკან დახევისას გერმანელებმა ამ სოფლის 44 სახლიდან 42 დასწვეს. ჰიტლერელებმა 2 გადარჩენილი სახლის სარდაფებში შეჰყარეს 25 მოხუცი, ქალი და ბავშვი და შიგ რამდენიმე გრანატი შეაგდეს. ამის შედეგად 7 კაცი დაიღუპა, დანარჩენები დაიჭრნენ. დაჭრილთა შორის არიან მალცევები: ალექსანდრა—14 წლისა, მარიამი—12 წლისა, ალექსანდრე—10 წლისა და ფაინა—9 წლისა; ოლღა სილიუტინა—15 წლისა, მარიამ სემერიხინა — 13 წლისა. აქტს ხელი მოაწერეს საველე ჰოსპიტლის უფროსმა, მე-3 რანგის სამხედრო ექიმმა შაპირომ, ქირურგიული განყოფილების უფროსმა, მე-2 რანგის სამხედრო ექიმმა ხოლოდცევმა, მიმღებ-გამანაწილებელი განყოფილების უფროსმა, მე-3 რანგის სამხედრო ექიმმა ლებედევამ, ექიმმა ორლანატორმა, მე-3 რანგის სამხედრო ექიმმა კაზაკოვამ და წითელარმიელმა ზეზუმსკიმ.

* * *

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველები ქ. ილურიძე, ფ. ჯაგაევი, ა. პოპოვი და ქსოვრელი ცვლაში სისტემატურად სამ-სამ და ოთხ-ოთხ ნორმას ასრულებენ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ქალაქ მოჟაისკის მშრომელნი, რომელნიც შეიკრიბნენ ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლებისადმი მიძღვნილ მიტინგზე, თავის მგზნებარე სალამს გიძღვნიან თქვენ, საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, ჩვენი სამშობლოს შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელს.

ფაშისტთა ტყვეობიდან ჩვენი განთავისუფლების ამ ღირსშესანიშნავ დღეს მხურვალე სიყვარულისა და მადლობის სიტყვებით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო მშობლიურო ბელადო და მასწავლებელო.

ჩვენი ქალაქის მშრომელებმა ბევრი სისხლი და ცრემლი დაღვარეს გერმანელ მტარვალთა სამი თვის თარეშის დროს. მტერი აბუჩად იგდებდა, სტანჯავდა და ძალმომრეობდა ასობით სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან მოქალაქეზე. ყოველ ჩვენგანს გაბოროტებისა და შავბნელი ფაშისტური ქვეწარმავლისადმი სიძულვილის გრძნობა უდუღს გულში.

მიუხედავად სისხლიანი ტერორისა და წამებისა მოჟაისკის მშრომელებს არ მოუხრიათ თავისი ამაყი ქედი ჰიტლერელთა ურდოების წინაშე. ჩვენს რაიონში, ისევე როგორც ყველგან ფაშისტების მიერ დროებით დაკავებულ ჩვენს მიწაზე, გაჩაღდა პარტიზანული ბრძოლის ალი, რასაც მხურვალედ უჭერდნენ მხარს ქალაქისა და რაიონის მშრომელნი.

ჩვენ არასოდეს, იმ უმძიმეს დღეებშიც კი, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ, ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ტილიანი მძარცველი არმია დამარცხდებოდა და წითელი არმია ჩვენ გაგვათავისუფლებდა. თქვენი სახელი მხნეობის დაუშრეტელი წყარო იყო ჩვენთვის ქალაქ მოჟაისკში ფაშისტთა თარეშის უაღრესად შავბნელ დღეებში.

თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, წითელი არმია ზედიზედ აღწევს გამარჯვებას მტრის ურდოებზე. წითელმა არმიამ [illegible] ყაჩაღი [illegible]თვის, რომ დაეპყროთ ყველასათვის საყვარელი მოსკოვი—ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი. მოსკოვის მიდამოებში ჰიტლერის არმიამ ერთხელ კიდევ იგრძნო თავის თავზე საბჭოთა იარაღის დამკვრელი ძალა და ძლიერება. ქალაქი მოჟაისკი კვლავ საბჭოთა გახდა. მოჟაისკისა და უვაროვის განთავისუფლებით მთავრდება მთელი მოსკოვის ოლქის განთავისუფლება გერმანელ დამპყრობლებისაგან.

ჩვენო მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ! თქვენ, ჩვენი ღირსებისა და თავისუფლების აღმდგენელს, წმიდა სიტყვას გაძლევთ მთელი ძალა დავძაბოთ, რათა გმირ წითელ არმიას დავეხმაროთ ფაშისტ ჰეროდეთა საბოლოო განადგურებაში.

ჩვენი გული აღსავსეა მძვინვარე სიძულვილით ფაშისტი მხეცებისადმი, შეურყეველი ნებისყოფით თავდადებული შრომისადმი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დავაჩქაროთ ჰიტლერელთა ბანდების საბოლოო განადგურება, შეუსვენებლივ ვიმუშავებთ გერმანელთა მიერ ბარბაროსულად დანგრეული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენად.

ჩამოვრეცხავთ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს წყეული გერმანელების მთელ სიბილწეს. არ დავზოგავთ ფრონტისათვის არც დროს, არც ჩვენს ძალას და ამით მოვაახლოვებთ გერმანელ დამპყრობლებთან საბოლოო და სრული ანგარიშის გასწორების ჟამს.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელს იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს!**

(მიღებულია ქალ. მოჟაისკის მშრომელთა მიტინგზე 1942 წლის 23 იანვარს).

უკუქცეული ჰიტლერელი ბანდიტების მხეცობა

კალინინის ფრონტი, 27 იანვარი (საკ-დესის სპეციალური კორესპონდენტისაგან). ჩვენი ნაწილების დარტყმების გამო უკუქცეული, უილაჯობით გაბოროტებული ჰიტლერელები მხეცურად აწიოკებენ მშვიდობიან საბჭოთა მოსახლეობას.

სოფელ ტ-ს კოლმეურნემ აგრაფინა ივანეს-ასულმა ზოტოვამ, რომელიც გერმანელთა მიერ დროებით დაკავებული ტერიტორიიდან გამოიპარა და წითელი არმიის ნაწილებთან მოვიდა, განაცხადა: 3 იანვარს მე შემაძრწუნებელი სურათი ვნახე: ქუჩაში მარხილებით მიჰყავდათ ტანთგახდილი ტყვე წითელარმიელები. ფაშისტი მტარვალები კასრებიდან იღებდნენ ყინულოვან წყალს და ზურგზე ასხამდნენ მარხილებზე მიბმულ ადამიანებს. ეს წამება მანამდე განაგრძეს, სანამ წითელარმიელები ყინულის ქანდაკებებად არ იქცნენ. სოფელ ტ-ში გერმანელებმა 7 კოლმეურნე დახვრიტეს, შემდეგ კი სულ გააშიშვლეს და მათ სხეულებზე დიდ ხანს ცეკვავდნენ.

სოფელ ი-დან უკანდახევისას ფაშისტებმა ფარდულში შეჰყარეს ნახევრად ტანთგახდილი ქალები, მოხუცები და ბავშვები და კოლმეურნეთა სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. პეტრე ტარაკანოვი სარდაფში იყო, როცა მის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. მან სახლს შეაშურა გადასარჩენად. ფაშისტები მივარდნენ ტარაკანოვს, ხელები გადაუმტვრიეს, თავი გაუტეხეს და გვამი გზაში დააგდეს.

— ასე დავკარგე უკანასკნელი ვაჟი, — ამბობს 70 წლის მოხუცი დიმიტრი ტარაკანოვი. — წყეულ იყვნენ გერმანელი მტარვალები!

ფაშისტ ყაჩაღთა საშინელი ბოროტმოქმედებით განრისხებულმა წითელი არმიის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ფიცი დასდეს კიდევ უფრო ულმობლად ჟლიტონ გერმანელი ოკუპანტები. ეს წმიდა ფიცი ურღვევად ხორციელდება.

ამ დღეებში გმირობა ჩაიდინა წითელარმიელმა სპირიდონოვმა. იგი მტრის ტყვიამფრქვევს მიეპარა და გრანატებით გასწყვიტა 16 გერმანელი. როცა დანარჩენი გერმანელი ჯარისკაცები, რომლებსაც ეგონათ ალყა შემოგვარტყესო, აქეთ-იქით გაიქცნენ, სპირიდონოვმა კიდევ რამდენიმე ფაშისტი დახოცა. ამრიგად გმირმა მებრძოლმა რამდენიმე წუთში 40 ჰიტლერელი გაჟლიტა.

ე. კორიავიჩევი.

გერმანელთა უმაგალითო მხეცობა უვაროვოში

დასავლეთის ფრონტი, 26 იანვარი (საკ-დესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მოსკოვზე თავიანთი შეტევის ჩაფუშვით გაბრაზებულმა ფაშისტმა მხეცებმა, რომლებიც წითელი არმიის დარტყმების შედეგად იძულებული იყვნენ მთლიანად გაეწმინდათ მოსკოვის ოლქის მიწა-წყალი, დედაქალაქის ოლქიდან წასვლისას ქალაქ უვაროვოში უმაგალითო ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, რასაც საბჭოთა ხალხი მათ არასოდეს არ აპატიებს.

ჰიტლერელმა ბანდიტებმა მთლიანად მოსპეს ქალაქი. ყველა შენობა გადამწვარია, ხოლო ის, რაც ცეცხლგამძლე იყო, აფეთქებულია. მათ პირველ რიგში დასწვეს საავადმყოფო, 2 სკოლა, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომის და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შენობა და სხვა საზოგადოებრივი შენობები. კლუბის საუცხოო შენობა ფაშისტებმა ააფეთქეს.

ქალაქიდან წასვლისას გერმანელებმა მთელი მოსახლეობა ქუჩაში გამორეკეს და ზედიზედ დასწვეს ყველა სახლი. ვინც ცდილობდა ხანძარი ჩაექრო სახლებში, იმათ ავტომატებით ხვრეტდნენ. გერმანელმა არამზადებმა ერთ ქალიშვილს თავსა და ფეხებში ჩაავლეს ხელი, გააქან-გამოაქანეს და ცეცხლმოდებულ სახლში გადაისროლეს.

გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული უვაროვოს მცხოვრებნი მოგვითხრობენ იმ საშინელ მხეცობასა და ძალადობას, რაც ფაშისტმა კაციჭამიებმა ჩაიდინეს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

გადმოგცემთ ადგილობრივ მცხოვრებთა ჯგუფისა და წითელი არმიის წარმომადგენლების მიერ 1942 წლის 23 იანვარს შედგენილ აქტს.

აქტი

ეს აქტი შევადგინეთ 1942 წლის 23 იანვარს უვაროვოში მცხოვრებმა მოქალაქეებმა—პეტრე ივანეს-ძე ზარუბინმა, გრიგოლ გაბრიელის-ძე ფირსოვმა, ივანე ილიას-ძე პეტროვმა, თევდორე ივანეს-ძე პროშნიკოვმა, პოლიტგანყოფილების პოლიტხელმა გ. გ. იურასოვმა და პოლიტგანყოფილების პოლიტხელმა ნ. ე. მერტვეცოვმა ქვემოხსენებულის შესახებ:

ფაშისტთა კომენდატურის მიერ დაპატიმრებული უვაროვოს რაიონის ნავრიჩევსკის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, მოქალაქე გრიგოლ ივანოვი და 2 უცნობი რუსი, მეტისმეტად დაუძლურებული მოქალაქე, 1941 წლის 12 დეკემბერს, საღამოს, ფაშისტებმა ვაგზლის მახლობლად ტელეგრაფის ბოძებზე ჩამოჰკიდეს. ჩამოხრჩობილნი 20 დეკემბერს ჩამოხსნეს სახრჩობელიდან და მინდორზე დააგდეს აგურის ქარხნის მახლობლად.

20 დეკემბერს ფაშისტთა კომენდატურამ დააპატიმრა მოქალაქენი—ივანე ნიკოლოზის-ძე კლიმოვი და ვასილ პეტრეს-ძე კორკინი. დაკითხვის შემდეგ 22 დეკემბერს საღამოს ამხ. კლიმოვი და კორკინი ჩამოახრჩეს. სიკვდილით დასჯის წინ კლიმოვსა და კორკინს გახადეს თექის ჩექმები, ქუდები და ხელთათმანები. გვამები 26 დეკემბერს ჩამოხსნეს და მინდორში დააგდეს აგურის ქარხნის მახლობლად.

1941 წლის 25 დეკემბერს ფაშისტებმა ჩამოახრჩეს ორი უცნობი რუსი მოქალაქე, მეტისმეტად დაუძლურებული, რომლებსაც ცემის კვალი და სახეზე ჭრილობა ჰქონდათ. უცნობებისათვის თექის ჩექმები გაეხადათ. გვამები ფაშისტებმა 1 იანვარს ჩამოხსნეს და აგურის ქარხნის მახლობლად გადაისროლეს ორმოში.

1942 წლის 16 იანვარს ჩამოახრჩეს მოქალაქე ივანე ილიას-ძე ორლოვი, რაისაბჭოს დეპუტატი. სიკვდილით დასჯის წინ თექის ჩექმები, ქუდი და ხელთათმანები გაძრეს. გვამი მეორე დღეს ჩამოხსნეს და სადღაც უცნობ ადგილას გადააგდეს.

1941 წლის 11 ნოემბერს დააპატიმრეს მოქალაქე ალექსანდრა მარტინის-ასული დრეიმანი, უვაროვოს რაიონის საგზაო განყოფილების უფროსი. მოქალაქე ა. მ. დრეიმანი დაპატიმრების მომენტში ორსულობის მე-8 თვეში იყო. ფაშისტებმა დრეიმანი გააშიშვლეს, 2 დღის განმავლობაში აწამებდნენ და სცემდნენ მას. 12 ნოემბერს დრეიმანმა ბავშვი შობა, რომელიც სიცივისაგან მოკვდა, ვინაიდან 11 ნოემბრიდან დრეიმანი შიშველი ჰყავდათ ფარდულში. 13 ნოემბერს ამხ. დრეიმანი ფაშისტებმა დახვრიტეს, ხოლო მისი გვამი ყინულქვეშ ჩაუშვეს გუბურაში, საავადმყოფოს მახლობლად.

1942 წლის 6 იანვარს ამხ. მამინის სახლის მახლობლად ფაშისტი ოფიცერი თექის ჩექმებს ხდიდა მამინის შვილს. ბავშვის ძახილზე, რომელსაც ფაშისტი თექის ჩექმებს ხდიდა, სახლიდან გამოვარდა ამხ. მამინი და პროტესტი განაცხადა ძალადობის წინააღმდეგ. ოფიცერმა იქვე მოჰკლა რევოლვერით ამხ. მამინი (7 ჭრილობა). ფაშისტმა ოფიცერმა მამინის ბავშვს თექის ჩექმები გახადა.

21 იანვარს 2 უცნობი ქალი ცდილობდა ჩაექრო ხანძარი საბჭოთა ქუჩაზე მდებარე სახლში, რომელსაც ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს. ხანძრის ჩაქრობის ცდისათვის ქალები გაჯოხეს და ცეცხლმოდებულ სახლში შეაგდეს. ერთი მათგანის გვამი, ძალზე დამწვარი, 1942 წლის 23 იანვარს იპოვნეს სახლში. მეორე ქალის გვამი ვერ იპოვნეს. ფაშისტებმა აკრძალეს ჩამოხრჩობილთა და მოკლულთა გვამების დაკრძალვა.

ი. დენენბერგი

ბრძოლა გამაგრებული პუნქტისათვის

კალინინის ფრონტი, 26 იანვარი (საკ-დესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ნაწილები მტრის შევიწროებას განაგრძობენ. ფაშისტებს დიდი ზარალი მოსდით ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ტყვე ჯარისკაცმა პოსე კურტმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მათი ბატალიონი სხვა ბატალიონებთან ერთად სასწრაფოდ იყო გადმოყვანილი საფრანგეთიდან კალინინის ფრონტზე. ამ დღეებში ისინი პირდაპირ გზიდან გაიყვანეს ბრძოლაში. პირველივე ბრძოლის შემდეგ დამარცხდა ის ასეული, რომელშიაც კურტი შედიოდა. 180 კაციდან მწყობრში დარჩა არაუმეტეს 60-70 კაცისა. ასეთივე დიდი ზარალი მოსდით გერმანელთა სხვა ნაწილებსაც.

ფაშისტებს განსაკუთრებით ეშინიათ ჩვენი ჯარების ღამის იერიშისა. ამას გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები აღიარებენ შინ გაგზავნილ წერილებში. ეფრეიტორი მაქს ზეიდელი მწუხარებით ამბობს: „რუსები შეტევაზე გადმოდიან ღამით, როცა არაფერი არა სჩანს, და ეს არის ის იარაღი, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ უძლურნი ვართ".

გამაგრებულ პუნქტ ი-სათვის ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა მამაცობისა და საბრძოლო აღფრთოვანების ნიმუში გვიჩვენეს. აქ გერმანელებმა ბევრი მიწური საცეცხლე წერტი მოაწყეს, დანაღმეს მინდორი და ამოთხარეს ტანკსაწინააღმდეგო ორმოები. ამას გარდა, სოფლის მისადგომები კარგად გამიზნეს.

იერიშზე პირველნი გადავიდნენ ჩვენი ტანკები. წინა მანქანა პოლიტხელ ზემლიაკოვს მიჰყავდა. მის უკან მიჰქროდნენ უფროსი სერჟანტების — ტარასოვის, ველიჩკოს და ლეიტენანტ სტაროხინის ტანკები. ჰიტლერელებმა ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების გრიგალისებრი ცეცხლი გააჩაღეს. ყუმბარები რახუნით ეცემოდა ჯავშანს და უკანვე ვარდებოდა ისე, რომ არავითარ ზიანს არ აყენებდა მას. ტანკები ბრძოლით შეიჭრნენ სოფელში. ფაშისტები გაიქცნენ. ამასთან იარაღი და მოკლულები დასტოვეს. ჩვენმა ტანკისტებმა და ქვეითელებმა ამ ბრძოლაში მტრის 2 ტანკი დააზიანეს, ხელთ იგდეს 40 ავტომანქანა ტვირთითურთ, 10 მოტოციკლი და მოსპეს მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ე. კორიავიჩევი.

მ. დ. გოცირიძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია საომარ მასალათა მწარმოებელი მრეწველობის მუშაკთა ჯგუფი. წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის № 80 ქარხნის განყოფილების უფროსი მიხეილ დავითის-ძე გოცირიძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის VI პლენუმი

[illegible]

ომი წყნარ ოკეანეში

(24 და 25 იანვრის დღეების მიმოხილვა)

[illegible]

ამერიკის ცნობები

[illegible]

ინგლისის ცნობები

[illegible] იაპონის ჯარებმა ქალაქი დაიკავეს.

ინგლისის ავიაცია ღამის განმავლობაში რამდენჯერმე დაესხა თავს მტრის სხვადასხვა ობიექტს. ქალაქ ბატუ-პახატში ძალიან იქნა დანგრეული სამხედრო ობიექტები. ბევრგან სახმელეთო ჯარებს. დღეს დილით ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს იაპონიის ავიაგამანადგურებელთა შენაერთებზე. იაპონიის ერთი ავიაგამანადგურებელი დაზიანებულ იქნა.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 26 იანვარი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, 24 იანვარს დილით იაპონიის ჯარებმა დესანტი გადასხეს ცელებესის კუნძულის სამხრეთ ნაწილში, კენდარის რაიონში. ამ რაიონში ბრძოლა გრძელდება. იაპონიის სადესანტო ნაწილებმა, რომლებიც 24 იანვარს გადასხდნენ კავიენგის რაიონში (კუნძული ახალი ირლანდია), 25 იანვარს ქალაქის მთელი მოსაზღვრე რაიონი დაიკავეს.

ამერიკის „ფაქტებისა და ციფრების ბიუროს" დირექტორის მოხსენება

ვაშინგტონი, 25 იანვარი. (საკდესი). მთავრობის „ფაქტებისა და ციფრების ბიუროს" დირექტორმა მაკლიშმა რუზველტის მოწონებით გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამერიკაში საჭურვლის, საომარი მასალისა და სხვა სამხედრო მასალების წარმოება სწრაფი ტემპით იზრდება. სამხედრო თვითმფრინავების წარმოებამ უკვე ისეთ დონეს მიაღწია,—ნათქვამია მოხსენებაში,—„რომ ჩვენ ინგლისთან ერთად მოკლე ხანში გადავაჭარბებთ ღერძის ქვეყნებს თვითმფრინავების წარმოების მხრივ". საჭურვლის წარმოების ამერიკის პროგრამა არმიის სრულ მომარაგებასა და აღჭურვას ითვალისწინებს; ამ არმიის რაოდენობა საბოლოო ანგარიშით 7 მილიონ კაცს მიაღწევს. 1941 წლის შემოდგომაზე ამერიკის არმიაში 1½ მილიონი კაცი ითვლებოდა. ამერიკის არმიის რეგულარული ნაწილები ამჟამად შესდგება 34 დივიზიისაგან, მათ შორის 27 ქვეითი დივიზიისა, 5 ჯავშანსატანკო და 2 ცხენოსანი დივიზიისაგან. ამ დღეებში სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა გამოაცხადა, რომ დასახულია სულ უახლოეს ხანში ამერიკის არმიის უდიდესი გაფართოება.

მოხსენებაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ტანკების წარმოება სწრაფი ტემპით იზრდება. დასმული ამოცანის—1942 წელს 45.000 ტანკის წარმოების ამოცანის განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევაიარაღოთ და უზრუნველვყოთ ბრძოლაში 60-ზე მეტი ჯავშანსატანკო დივიზია. ყველა ტიპის ქვემეხების წარმოება თითქმის 5-ჯერ გადიდდა, ხოლო საომარი მასალის წარმოება 9-ჯერ გაიზარდა ერთი წლის განმავლობაში.

მაკლიში თავის მოხსენებაში სამხედრო-საზღვაო მშენებლობის პროგრამასაც ეხება და აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები აგებენ 15 სახაზო გემს, 11 ავიოსანს, 54 კრეისერს, 193 სესკადრო ნაღმოსანს და 73 წყალქვეშა ნავს. ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტს 2 ათასამდე ახალი თვითმფრინავი აქვს. საზღვაო ფლოტი სწრაფად ჰქმნის თავის ახალ ბაზებს.

ამერიკის მთავრობამ 999 ახალი სავაჭრო გემი შეუკვეთა.

სამრეწველო საწარმოთა გასაფართოებლად,—აღნიშნულია შემდეგ მოხსენებაში,—7 მილიარდი დოლარი იყო გადადებული. ფოლადის წარმოება 10 მილიონი ტონით უნდა გადიდდეს, ალუმინის წარმოება—700 მილიონი გირვანქით და მაგნიუმის წარმოება—350 მილიონი გირვანქით წელიწადში.

მოხსენებაში შემდეგ ნათქვამია, რომ სამხედრო მრეწველობაში დამატებით ჩაბმულია 5 მილიონი მუშა. უახლოეს 6 თვეში ამ მრეწველობაში კიდევ 5 მილიონი მუშა უნდა იქნას ჩაბმული.

მაკლიში დაწვრილებით აშუქებს, თუ როგორ ხორციელდება დახმარების გაწევის პროგრამა საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე. „გასული წლის მარტში,—აცხადებს იგი,—საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე გაწეულ იქნა დახმარება 16 მილიონი დოლარის რაოდენობით. 1941 წლის ნოემბრისათვის ამ დახმარებამ თვეში საერთო ჯამით 283 მილიონ დოლარს მიაღწია. ასეთი დახმარების აღმოსაჩენად სულ დახარჯულია 1.200 მილიონი დოლარი".

შემდეგ მოხსენებაში ნათქვამია, რომ „თვითმფრინავები, ტანკები, ქვემეხები, საომარი მასალა და სურსათი რუსეთში, ჰოლანდიის ინდოეთში, ავსტრალიაში, ბირმაში, ჩინეთში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ბრიტანეთის კუნძულებზე და სამხრეთ ამერიკაში კიდევ უფრო მეტი რაოდენობით უნდა გაიგზავნოს ხოლმე".

მაკლიში აღნიშნავს აგრეთვე რომ საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე რუსეთში მასალების გაგზავნა, როგორც ფიქრობენ, სწრაფად გადიდდება.

გებელსის მწარე ჩივილი

სტოკჰოლმი, 25 იანვარი (საკდესი). გაზეთ „დას რაიხში" გებელსმა მოათავსა სტატია, რომელშიც ცდილობს შეაჯამოს ორი წლინახევრის ომის შედეგები.

„ამ პერიოდმა,—სჩივის გებელსი, — ღრმა კვალი დააჩნია ჩვენს ხალხს. თუ გერმანელ ჯარისკაცთა მიერ ომამდე გადაღებულ ფოტოგრაფიულ სურათებს ავიღებთ და ახლახან გადაღებულ ფოტოგრაფიულ სურათებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ უკანასკნელ დროს მათს სახეს ღრმა ნაოჭები ემჩნევა". გებელსს განსაკუთრებით აწუხებს გერმანელთა მორალური მდგომარეობა. იგი ერთმანეთს ადარებს „გერმანელი ხალხის სულიერ განწყობილებას 1942 წელს" და გერმანელი ხალხის განწყობილებას 1917 წელს და ემუდარება გერმანელებს ნუ მიეცემიან „ნაღვლიანობასა და პესიმიზმს". მოსახლეობის მორალური მდგომარეობის „განსამტკიცებლად" გებელსი მოითხოვს „არ წაიკითხონ ფურცლები, რომლებსაც გერმანელთა მტრები ჰფანტავენ", „არ მოისმინონ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების სიტყვები", „მზად იყვნენ იმისათვის, რომ გაუძლონ ყოველგვარ განსაცდელს". ეხება რა „განსაკუთრებით სუსხიან ზამთარს", გებელსი გერმანელებს მხოლოდ იმით „ანუგეშებს", რომ „მაის-ივნისში ჩვენ უკვე არ შეგვეშინდება ყინვებისა, რომლებსაც იანვარსა და თებერვალში უნდა გაუძლოთო".

თავის უკანასკნელ სტატიაში გებელსი კვლავ მიმართავს ძველ მეთოდს, იგი გერმანელებს აშინებს შავბნელი პერსპექტივებით იმ შემთხვევაში, თუ გერმანია დამარცხდა.

მომავალი კამათი ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 23 იანვარი (საკდესი). ინგლისის თემთა პალატის სხდომაზე ლეიბორისტი ლოურენსი ჩერჩილს შეეკითხა, თუ როგორია პალატის მუშაობის შემდგომი წესი, რაზედაც ჩერჩილმა განაცხადა: მალე დაიწყება კამათი სამხედრო მდგომარეობის შესახებ, რასაც 3 დღე დაეთმობა. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ იგი იზიარებს საერთო შეშფოთებას, რასაც შორეულ აღმოსავლეთში წარმოებული ომის გამო გამოსთქვამენ, აგრეთვე იმას, რომ იზრდება რწმენა ამ კონფლიქტის საბოლოო შედეგისადმი. „იმ შემთხვევაში,—აღნიშნა შემდეგ ჩერჩილმა,— თუ კამათის დროს მთავრობის პოლიტიკა საეჭვო გახდება, მე მეორე ან მესამე დღეს დავაყენებ საკითხს ნდობის ვოტუმის შესახებ".

ჩერჩილის მიერ თემთა პალატაში გაკეთებულმა განცხადებამ ინგლისის პრესის გაცხოველებული კომენტარები გამოიწვია. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გაზეთი „დეილი მეილი" აღნიშნავს: ჩერჩილის გადაწყვეტილება ნდობის ვოტუმის საკითხის დაყენების საბაბად გამოიყენოს ყოველგვარი ეჭვი, რასაც კი მთავრობის მოქმედება იწვევს, გვიჩვენებს, რომ პრემიერ-მინისტრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მომავალ კამათს.

ეხება რა იმავე საკითხს, გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" უარყოფითად ეკიდება ჩერჩილის განზრახვას ნდობის ვოტუმის საკითხის დაყენებისა და მთავრობის ყველა წევრის პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ. „საჭიროა,—სწერს გაზეთი, — რომ საზოგადოებრივი აზრის შეშფოთება შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი სამწუხარო მარცხისა და ჩვენი სამხედრო წარმოების ტემპების შესახებ გაფანტულ იქნას პიროვნებათა მიუხედავად".

როგორც რეიტერის სააგენტოს პოლიტიკური მიმომხილველი აცხადებს, „ინგლისის მთავრობას შეგნებული აქვს, რომ ის საკითხები, რომლებიც კამათის დროს იქნება განხილული, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნდობის ვოტუმი აუცილებელია იმისათვის, რომ არც ინგლისში და არც საზღვარგარეთ ეჭვი არ შეიტანონ მთავრობის მიზნებსა და განზრახვაში".

ინგლისური გაზეთები წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციების შესახებ

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). გაზეთ „ობსერვერის" რედაქტორი ჰარვინი სწერს, რომ წითელი არმიის უკანასკნელი გამარჯვებანი შეიძლება კიდევ უფრო დიდი გამარჯვების პრელუდია გახდეს. ეს გამარჯვება საგრძნობ წილად სტალინის რკინისებრი ნებისყოფისა და ორგანიზატორული ტალანტის ტრიუმფს წარმოადგენს. მოსკოვმა არამც თუ დაიცვა თავისი თავი, არამედ უდიდესი როლიც შეასრულა, როგორც აქტიურმა სიმაგრემ. შესაძლებელია, რუსებმა შესძლონ გერმანელთა მიერ ზამთარზე დამყარებული მთელი გეგმების ჩაშლა და ახალი დიდი ზარალი მიაყენონ მტერს, [illegible] გრძოს უკან დახევა. წითელი არმიის როლი ნახევარსფეროს ყველა გაერთიანებულ ხალხთა საერთო საქმეს იმაზე მეტ სამსახურს ვერ გაუწევდა, რასაც იგი ამჟამად უწევს.

რუსეთი, — სწერს გაზეთი „სანდი ექსპრესის" რედაქტორი, — გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ომის მოგება. საბჭოთა კავშირში თავიდან ბოლომდე, კრემლიდან გლეხის ქოხამდე, პასუხისმგებლობის მწვავე გრძნობას იჩენენ სამშობლოსადმი სამსახურში.

პან-ამერიკულ კონფერენციაზე

ნიუ-იორკი, 25 იანვარი (საკდესი). რიო-დე ჟანეიროში მიმდინარე პან-ამერიკული კონფერენციის უკანასკნელი სხდომა 26 იანვრისათვის არის დანიშნული. კონფერენციის ყურადღების ცენტრშია რეზოლუცია ღერძის სახელმწიფოებთან ამერიკის ქვეყნების დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ, რაც 16 იანვარს შეიტანეს კოლუმბიისა და ურუგვაის დელეგატებმა. უკანასკნელ დრომდე არგენტინისა და ჩილის დელეგატებს მერყევი პოზიცია ეჭავათ ღერძის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის საკითხში და, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, ცდილობდნენ, რათა „გამოენახათ კომპრომისული ფორმულა, რომელიც ლათინურ ამერიკაში ღერძის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის მხოლოდ მკაცრ შეზღუდვათა შემოღებას გაითვალისწინებდა".

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, პან-ამერიკული კონფერენციის პოლიტიკურმა კომისიამ ერთხმად მოიწონა რეზოლუციის შემდეგი ტექსტი:

„მუხლი 1. ამერიკის რესპუბლიკები კვლავ ადასტურებენ თავიანთ დეკლარაციას იმის შესახებ, რომ არა ამერიკულ სახელმწიფოთა მხრივ ერთ-ერთი მათგანის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის ყოველი აქტი ისე განიხილონ, როგორც ყველა ამ ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის აქტი, რამდენადაც იგი უშუალოდ ემუქრება ამერიკის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

მუხლი 2. ამერიკის წარმომადგენლები კვლავ ადასტურებენ თავიანთ სრულ სოლიდარობას და მზადყოფნას ითანამშრომლონ ერთად ურთიერთდაცვის მიზნით, სანამ კონტინენტზე ახლანდელი აგრესიის გავლენა არ გაქრება.

მუხლი 3. ამერიკის რესპუბლიკები, იცავენ რა საკუთარი კანონებით დაწესებულ პროცედურას, ახლანდელ საერთაშორისო კონფლიქტში თითოეული ქვეყნის პოზიციისა და გარემოებათა შესაბამისად, რჩევას იძლევიან გაწყვიტონ თავიანთი დიპლომატიური ურთიერთობა იაპონიასა, გერმანიასა და იტალიასთან, რამდენადაც პირველი ამ სახელმწიფოთაგანი თავს დაესხა, ხოლო ორმა სხვამ ომი გამოუცხადა ამერიკულ ქვეყანას.

მუხლი 4. დასასრულ ამერიკის რესპუბლიკები აცხადებენ, რომ სანამ აღადგენდნენ ურთიერთობას, რომელიც წინა მუხლში მოხსენებული, ისინი კონსულტაციას გასწევენ ერთმანეთთან, რათა მათს გადაწყვეტილებას სოლიდარული ხასიათი ჰქონდეს".

იტალიელები ბარბაროსულად ეპყრობიან ინგლისელ ტყვეებს

ლონდონი, 25 იანვარი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სამხედრო კაბინეტის წარმომადგენელმა ლიტლტონმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა კირენაიკაში მოგზაურობიდან, განაცხადა: მე შემაძრწუნა იმან, თუ როგორ ეპყრობოდნენ იტალიელები ბრიტანეთის საიმპერიო არმიის ტყვეებს ბარდიაში. ლიტლტონი გაეცნო იმ ბანაკს, სადაც 1.150 ტყვე ინგლისელი ჯარისკაცი იმყოფებოდა. მათ ღია ცის ქვეშ ამყოფებდნენ უსაბნოდ, და ცუდ საჭმელს აძლევდნენ. ინგლისელი ჯარისკაცები, განაცხადა ლიტლტონმა, ამას არასოდეს არ აპატიებენ იტალიელებს.

ნორვეგიელ ხალხს სძულს გამცემი კვისლინგელები

სტოკჰოლმი, 25 იანვარი (საკდესი). შვეციის გაზეთი „დაგენს ნიუხეტერი" აღნიშნავს, რომ ძლიერდება ნორვეგიის მთელი მოსახლეობის სიძულვილი გამცემი კვისლინგელებისადმი და მათი ორგანიზაციის—„ნაციონალური ერთიანობისადმი".

„ნაციონალურ ერთიანობასა" და ნორვეგიელ პატრიოტებს შორის,—სწერს გაზეთი, —ურთიერთობა არასოდეს არა ყოფილა ასე დაძაბული. ხალხის რისხვას რომ გადაურჩნენ, კვისლინგელებს პოლიცია იცავს".

კვისლინგელთა გაზეთმა „ფრიტ ფოლკმა" ამ ცოტა ხნის წინათ მუქარით აღსავსე სტატია მოათავსა ნორვეგიელ პატრიოტთა წინააღმდეგ. გაზეთი სჩივის, რომ ნორვეგიის მოსახლეობა „სიცოცხლეს უწამლავს კვისლინგელებს" და მოითხოვს, რომ კვისლინგელებს უფლება მიეცეთ გაუსამართლებლად გაუსწორდნენ ნორვეგიელ პატრიოტებს. გაზეთი ცინიკურად აცხადებს: „შეურაცხყოფილთ (ე. ი. კვისლინგელებს) უფლება უნდა მიეცეთ თვითონ იყვნენ საკუთარი თავის პოლიცია, როგორც ამას გერმანელი ჯარისკაცები სჩადიან".

„ნორვეგიაში შეჭრა ძვირადღირებული შეცდომაა"

გერმანელი ოფიცრის განცხადება

ნიუ-იორკი, 26 იანვარი (საკდესი). ოვერსის ნიუსის სააგენტო გადმოგვცემს განცხადებას, რომლითაც გერმანიის არმიის მაღალი თანამდებობის ოფიცერმა ერთ უცხოელ დიპლომატს მიმართა ბერლინში გერმანიის მიერ ნორვეგიის ოკუპაციის გამო. გერმანიის შეჭრა ნორვეგიაში—სთქვა ამ ოფიცერმა, — ძვირადღირებულ შეცდომას წარმოადგენს. ნორვეგიის ოკუპაციამ გერმანიის შეიარაღებულ ძალთა კომუნიკაციების გაჭიმვა გამოიწვია. ძალიან ძნელია ნორვეგიის ტერიტორიის დაცვა მტრის ჭარბი საზღვაო ძალების წინააღმდეგ. ამას გარდა, ოკუპაციის შედეგად ის მოჰყვა, რომ სკანდინავიის ქვეყნების მთელ მოსახლეობას გერმანელები სძულს.

ომი ლიბიაში

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის მორიგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ 25 იანვარს ინგლისის ჯარები ბრძოლას აწარმოებდნენ მტერთან კირენაიკის ფართო რაიონში. მოქმედების ცენტრმა ანტელატის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლა. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ინგლისის ჯარები მტრის კოლონებს შეხვდა მსუსის ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. წარმატებით მოქმედებს ინგლისის ავიაცია.

ინგლისის სამხედრო სამინისტრო აღნიშნავს, რომ მსუსი ანტელატის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს 65 კილომეტრზე.

იაპონია-ჩინეთის ომი

სამხრეთ ჩინეთში ჩინეთის ჯარებმა ამ უკანასკნელ დღეებში აქტიური მოქმედება გააჩაღეს კანტონის რაიონში. მედგარი ბრძოლების შედეგად ჩინელებმა დაიკავეს ქალაქი ტამშუი (კანტონ-კოულუნის რკინიგზაზე, კანტონის აღმოსავლეთით).

ხუბეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარებს იერიში მიაქვთ იაპონელთა პოზიციებზე დანიანის დასავლეთით და იჩანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ხენანის პროვინციაში ჩინელები იაპონელებს აწვებიან სინიანის რაიონში.

ჩინელთა ცნობებით, 24 იანვარს ჩინეთის ბომბდამშენები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით კვლავ დაესხნენ თავს იაპონელთა აეროდრომს ხანოიში.

ჩინეთის ყველა თვითმფრინავი ბაზაში დაბრუნდა.

26 იანვარი. (საკდესი).

მწერალთა კავშირის კლუბში

29 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბი (მაჩაბლის, 13) მხატვრების კავშირთან ერთად აწყობს სტალინური პრემიის ლაურეატის იაგორ ემანუილის-ძე გრაბარის მოხსენებას თემაზე: **„რეალიზმი და მისი განვითარების ეტაპები მსოფლიო სახვით ხელოვნებაში".**

კამათში გამოვლენ მწერლები, მხატვრები და მოქანდაკენი.

დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

საოპერა — 29 იანვარს — „პიკის ქალი", **რუსთაველის სახელობის** — 29 იანვარს — „კოკვიძე", **მარჯანიშვილის სახელობის** — 29 იანვარს — „მკაცრი ქალიშვილები", **სანკულტურის** — 29 იანვარს — „აჯილდა", **მუსიკალური კომედიის** — 28 იანვარს — „საქორწინო მოგზაურობა", 29 იანვარს — „აყვავებული ბაღი", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 28 იანვარს — „პატარა მეომრები" (1 აბ., დასაწყ. საღ. 6 ს.), 29 იანვარს — „პატარა მეომრები" (მე-2 აბ., დასაწყ. დღის 4 ს.). **ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული** — 29 იანვარს „ახალი ქიარიმ".

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4336971, გაცემული ამხ. თამარ ფილიპეს-ასულ **ბალანჩივაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბილეთი № 3089264, გაცემული ვარლამ ფარნას-ძე **ქარჩავას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2839554, გაცემული ნინო პლატონის-ასულ **ლიბრაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და **დამკვრელი**—„საბრძოლო კინოკრებული № 7", **ოქტომბერი**— „საბრძოლო კინოკრებული № 6", **სპარტაკი** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს", **ლუქსემბურგის სახ.** — „მშვენიერი ვასილისა", **კომინტერნი** — „ამანგელდი", **26 კომ. სახ.**—„უმაღლესი ჯილდო", **მეცნიერება** და **ცოდნა** — „ქაჯანა", **დღისით**—„მეგობრები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
კონსერვატორიასთან არსებული დიდი საკონცერტო დარბაზი

28 იანვარს კონსერვატორიასთან არსებული

დიდი საკონცერტო დარბაზის გახსნა

დაწვრილებით აფიშებში. დარჩენილი ბილეთები იყიდება დიდი საკონცერტო დარბაზის შენობაში დილის 11 საათიდან—3 საათამდე, საღამოს 6-დან 10 საათამდე.

დაკარგულია არტელ „გრუზოლესის" გამგეობის კუთხის შტამპი. ჩ. გ.

საქ. შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ამხ. კ. ჩიკოიძის დედის

ანასტასია ნოშრევანის-ასულ ჩიკოიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/I 8 ს. თბილისში, შაუმიანის ქ. № 88, დაკრძალვა 29/I 6 ს. 83

სასწრაფო დახმარების სადგურის ადმინისტრაცია იუწყება ექიმ სოფიო გუდიაშვილის დედის

ელენე (ნინუცა) დიმიტრის-ასულ გუდიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ფასანაურში. 81

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან ამხ. ნ. ღლონტის დედის

მარიამ ოტიას-ასულ ღლონტი-გვასალიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29 იანვარს, საღამოს 7 ს. დაკრძალვა 30 იანვარს, საღამოს 5 ს. ბელინსკის ქ. № 22.

„კომუნისტის" სტამბის მუშაკთა კოლექტივი იუწყება გამომცემლობის დირექტორის ამხ. ს. კაიტანჯიანის მეუღლის

მარიამ იაგორის-ასულ კაიტანჯიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/I საღ. 7 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 49, დაკრძალვა 29/I 5 ს. 30 წ. კუკიის სასაფლაოზე.

საქვაჭრობის გორის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის

კოლია (ნიკოლოზ) სიმონის-ძე ახვლედიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში. 79

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექცია და ადგილკომი იუწყებიან ვ. ს. სხიერელის დედის

ივლიტა პავლეს-ასულ სხიერელის

გარდაცვალებას. 77

საქ. კოოპინკავშირის არტელ „უტილგადამუშავების" მუშაკთა კოლექტივი იუწყება იურისკონსულტის

სეით გერონტის-ძე ჟიჟინაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/I ბოცვაძის ქ. № 2. 84

ვ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.